იდა ბახტურიძე

იდა ბახტურიძე ბოლო 7-8 წლის მანძილზე ქართული ფემინისტური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრია. არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის პარალელურად, იდა წლების განმავლობაში უერთდება და აორგანიზებს სხვადასხვა აქციას.

2012 წლიდან იდამ აქტივისტური საქმიანობა ჯერ "ფემინისტების დამოუკიდებელ ჯგუფთან", ხოლო მოგვიანებით "ქალთა მოძრაობის" ჯგუფთან ერთად გააგრძელა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფემიციდისა და ქალების პოლიტიკური ჩართულობის საკითხების წინ წამოწევაში.

2016 წლიდან იდას თანამონაწილეობით შეიქმნა პლატფორმა "ქალები საქართველოდან", რომელიც სხვადასხვა გამოცდილების ქალების პირად ისტორიებს აცნობს საზოგადოებას. ბევრი ქალისთვის ეს პლატფორმა საკუთარ პრობლემებზე საჯაროდ საუბრის ერთადერთ შესაძლებლობად იქცა.

იდა აქტიურად უჭერს მხარს სექსუალური შევიწროების გამოცდილების მქონე ქალებს და ახერხებს, ეს საკითხი არ დარჩეს მედიისა თუ ფართო საზოგადოების ყურადღების მიღმა. ის ხშირად აჟღერებს ემიგრანტი ქალების პრობლემებსაც და არ ერიდება სენსიტიურ საკითხებზე პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილებების მიმღები პირების კრიტიკას.

სოფი ბერია

სოფი ბერია აქტიურადაა ჩართული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების პოპულარიზაციის და დაცვის საკითხში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სოფი არის სექსუალური განათლების შესახებ შექმნილი პირველი ქართული ვებგვერდის, www.allaboutyou.ge-ს თანაავტორი, რომელიც განხორციელდა არასამთავრობო ორგანიზაცია ქალთა საერთაშორისო ქსელის მიერ. ამავე პროექტის ფარგლებში, სოფიმ ტრენინგი ჩაუტარა არაერთ სამიზნე ჯგუფს, მათ შორის მასწავლებლებს, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სექსუალური განათლების, გენდერის, სტიგმისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ამჟამად, ჩართულია ადგილობრივ პროექტში, რომლის მიზანია აბორტის, როგორც ქალთა რეპროდუქციული უფლების გააზრება და მის გარშემო სტიგმის აღმოფხვრა.

2018 წლის აპრილში გახდა YouAct-ის, ევროპის ახალგაზრდული ქსელის წევრი, რომელიც სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე მუშაობს, ხოლო აგვისტოდან იგი ხელმძღვანელი კომიტეტის წევრის როლში შეუერთდა ორგანიზაციას. YouAct-ის ფარგლებში, სოფი რამდენიმე პროექტშია ჩართული, რომელთა ფარგლებშიც იგი საერთაშორისო ადვოკატირებასა და ლობირებას უწევს ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას, ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებას, გენდერულ თანასწორობასა და ადამიანის უფლებებს ევროპარლამენტში.

აია ბერაია

აია ბერაია ქვიარ აქტივისტი, აკადემიური მკვლევარი და მთარგმნელია. მისი აქტივისტური და აკადემიური საქმიანობის ძირითადი საკითხები იმ უთანასწორობის პრინციპით მომუშავე სისტემის ანალიზი და დეკონსტრუქციაა, რომელსაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი საკუთარ თავზე განიცდის.

აია 2018 წლიდან კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მას ნამუშევარი აქვს არაერთ ნაშრომზე, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვადასხვა ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, მათ შორისაა EMC, “ახალგაზრდა მწვანეები“, „ქალთა ფონდი საქართველოში“, „საფარი“ და სხვები.

აია თანამშრომლობს იმ ორგანიზაციებთან, რომელთა მიზანიც ადამიანის უფლებების დაცვა და ცოდნის გავრცელებაა. მისი კვლევის ინტერესებს შორის არის: გენდერი და ნაციონალიზმი, სოციალური მოძრაობები, მასკულინობის კვლევები, ფემინისტური და ქვიარ თეორია.

აია ყოველთვის ეწინააღმდეგება უსამართლობას და მოითხოვს თითოეული ჩაგრული ადამიანისა თუ ჯგუფის ყოფის გაუმჯობესებას, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ხედვის და პოზიციების გამო მრავალჯერ გამხდარა სხვადასხვა ტიპის თავდასხმის მსხვერპლი.



მანონ ბოკუჩავა

მანონ ბოკუჩავა 7 წლის განმავლობაში წერდა „ადამიანის უფლებათა ცენტრისთვის“ რეგიონში მცხოვრები ქალების პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე.

ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად, მან კოლეგებთან ერთად დააარსა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქვემო ქართლის მედია“ რომელიც კვლევითი საქმიანობით ცდილობს ადგილობრივი პრობლემების აღმოფხვრას.

„ქალთა ფონდი საქართველოში”-ს დახმარებით მან ჩაატარა კვლევა, სადაც ასახა Reach Metal Groups-ის ზეგავალენა დაბა კაზრეთში მცხოვრებ ქალებზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ქალებს პრობლემებზე საუბრის ჯერ კიდევ ეშინიათ, მანონი ყოველთვის მოუწოდებს მათ, რომ არ დაიმალონ, „დასხდნენ მაგიდასთან“ და არა მაგიდასთან მსხდომების უკან, რათა თავად გახდნენ ცვლილებების შემოქმედნი.

ანანია გაჩეჩილაძე

ანანია გაჩეჩილაძე აქტიურად არის ჩართული სოციალური ცვლილებებისთვის ბიძგის მიმცემ კამპანიებში და ეხმიანება საზოგადოებაში აქტუალურ საკითხებს. არის პირველი ქართული კონტრაცეპტივის ბრენდის „აიისა“-სდამფუძნებელი, რომელიც გარდა კომერციული ინტერესებისა, სოციალური ინტერესების მატარებელიცაა. ბრენდის ფარგლებში იგი ხელს უწყობს ისეთ საკითხებზე დისკუსიის წამოწყებას, როგორებიცაა: ქალის სექსუალობა, ლგბტ პირების უფლებები, ემიგრანტი ქალების უფლებრივი მდგომარეობა და სხვა.

ახალი სატელევიზიო სეზონიდან არის სოციალური თოქ-შოუს “Alpha ფემინი”-ს თანაწამყვანი, რომლის ფარგლებშიც აუდიტორიას ყოველკვირეული ეთერის საშუალებით აუდიტორიას მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებებზე ანალიტიკას სთავაზობს.

ცაბუნია ვართაგავა

ცაბუნია ვართაგავა სოციალური მუშაკია სობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთიდან. ის კატო მიქელაძის პრემიის ნომინანტი იყო 2017 წელსაც.

ცაბუნია 2016 წლიდან მუშაობს ლგბტ თემის უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ მისი საქმიანობის გამო მუდმივად გრძნობს წნეხს საზოგადოებისგან, რომელშიც ცხოვრობს, უკან არასდროს იხევს და ყოველთვის საჯაროდ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას.

სხვადასხვა დროს ცაბუნია მუშაობდა ქუჩაში მცხობრებ და მომუშავე ბავშვებთან, კანონთან კონფლიქტში მყოფ ადამიანებთან, შშმ პირებთან და სიღარიბის ზრვარს მიღმა მყოფ მრავალშვილიან ოჯახებთან, ბავშვის მიტოვების პრევენციის მიზნით.

ცაბუნია ასევე არის საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველის სამოქალაქო საბჭოს წევრი და ადგილობრივ მუნიციპალიტეტში ეწევა მოსახლეობაში არსებული საჭიროებების ადვოკატირებას.

2018 წლის ივლისში ცაბუნიამ დააფუძნა ანტისაოკუპაციო მოძრაობა “სამეგრელო ოკუპაციისა და კოლაბორაციონიზმის წინაარმდეგ.”

ბოლო რამდენიმე თვეა ცაბუნია “თანასწორობის მოძრაობის” ზუგდიდის რესურს-ცენტრის მენეჯერია. გარდა იმისა, რომ ინდივიდუალურად მუშაობს ლგბტ თემის წევრებთან და ცდილობს გადაჭრას მათ წინაშე არსებული გამოწვევები, ის ჩართულია ლგბტ აქტივიზმში და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებების აღმოფხვრას ცდილობს.

მარიამ მარჯანიშვილი

მარიამ მარჯანიშვილი ფილოლოგიის დოქტორია. ის სტუდენტობიდან იკვლევდა ქალთა თავისუფლების, თანასწორობისა და თანაბარუფლებიანობის საკითხებს.

მისი პირველი სამეცნიერო წიგნი ,,ფემინიზმი და პოლიტიკოსი ქალები ამერიკის შეერთებულ შტატებში“ 2008 წელს გამოვიდა.

გარდა სამეცნიერო კვლევისა, მარიამი ჩართული იყო პროექტში „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისათვის.“

მარიამი აქტიურად მუშაობს საქართველოში მიმდინარე გენდერული პრობლემების კვლევებზე. მისი ინიციატივით ქალთველ პოლიტიკურ და ეკო-ემიგრანტ შემოქმედებით ქალთა საქმიანობაზე მრავალი საინტერესო ნაშრომი დაიბეჭა როგორც ადგილობრვი, ისე საერთაშორისო მასშტაბით. მისი ერთ-ერთი ნაშრომი დაედო საფუძვლად, დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ გადაღებულ ფილმს ,,დაკარგული ქართველი ქალი“.

მარიამი ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ კითხულობს ლექციებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სხვადახვა კულტურულ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მარიამ მარჯანიშვილი არაერთი ჰუმანიტარული აქციის ორგანიზატორი და ხელშემწყობია. მისი ინიციატივით წყალტუბოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მრავალჯერ მოეწყო ქალების ნამუშევრების გამოფენა და ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილი ტრენინგები.

ლუიზა მუთოშვილი

ლუიზა მუთოშვილი 2012 წლიდან არის პანკისის ხეობის "უხუცეს ქალთა საბჭოს" მოხალისე წევრი და აქტიურად არის ჩართული ქალთა პრობლემების მოგვარების საქმეში.

ლუიზას ჰყავს ახალგაზრდა გოგონების ჯგუფი, რომლებთანაც უანგაროდ მუშაობს არაფორმალური განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით. ის არის ინიციატორი და განმახორციელებელი ქისტური ტრადიციული სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანისა ქალთა საკითხებთან დაკავშირებით.

მრავალი მუქარის და დაშინების მიუხედავად, მისთვის მაინც პრიორიტეტულია ქალთა და განსაკუთრებით, ახალგაზრდა გოგონების უფლებების დაცვა. ლუიზა ყოველთვის ცდილობს ძალადობის შემთხვევების საჯაროდ გამოტანას და მსხვერპლი ქალების თანადგომას.

ნუკრი ტაბიძე

ნუკრის ტაბიძის აქტივიზმი 2013 წლიდან იწყება, როცა მან მონაწილეობა მიიღო ფემინისტურ ინიციატივაში -პერფორმანსი გენდერული ძალადობის წინააღმდეგ. მას შემდეგ, მისი საქმიანობა უფლებადაცვით სფეროში არაერთ აქტიივობას მოიცავს.

ნუკრი მუშაობს ისეთ თემებზე, როგორიცაა ლგბტ ბულინგი, რეგიონში მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერება, ლესბოსელი ქალების და ტრანს ადამიანების პრობლემები.

გარდა ამისა, ნუკრი არის გენდერის კვლევის მაგისტრი. ამავე მიმართულებით კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2017 წლიდან არის ახალგაზრდა მწვანეების წევრი და “ფემინსტრიმის“- ფემინისტური აუდიო პოდკასტების სერიის, ერთ-ერთი ავტორი.

ბარბარე ტაბიძე

ბარბარე ტაბიძე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ერთი წლით მოხალისედ გაემზაგვრა ნიუკასლში, არასამთავრობო ორგანიზაცია OPPORTUNITY_ში. ამ დროის განმავლობაში, იგი მუშაობდა ახალგაზრდულ ცენტრში და დაბრუნების შემდეგაც აგრძელებს გოგონებთან და ქალებთან მუშაობას.

ნატა ტალიკიშვილი

ნატა ტალიკიშვილი სექსმუშაკი ტრანსგენდერი ქალია, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფში“ საველე ოფიცრად მუშაობს. ის მუდმივად ჩართულია ტრანსგენდერი ქალების, განსაკუთრებით კი სექსმუშაკი ტრანსგენდერი ქალების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში, ახდენს ჯგუფის საჭიროებების პირველად შეფასებას და საჭიროებისამებრ, ამისამართებს ორგანიზაციის სხვადსხვა სერვისთან.

ნატას მიმართ თემის ნდობა ხშირად მთავარი ფაქტორია, რის გამოც ბენეფიციარები თანხმდებიან მიიღონ ისეთი მომსახურება, რომელზეც სხვა პირობებში შესაძლოა უარი ეთქვათ.

გარდა მუშაობის დროს გაწეული დახმარებისა, იგი წლების მანძილზე, სრულიად უსასყიდლოდ, საკუთარ სახლში იფარებს რეგიონებიდან ჩამოსულ უსახლკარო ტრანსგენდერ ქალებს, ზრუნავს მათ დასაქმებასა და ჯანმრთელობაზე.

ციცინო შენგელია

ციცინო უკვე რვა წელია სამოქალაქო აქტივიზმშია ჩართული. 2 წელია, რაც ჩამოაყალიბა ორგანიზაცია „სამოქალაქო აქტივობისა და თანასწორობის ცენტრი“. მიუხედავად დიდი წნეხისა, ის ყოველ წელს აღნიშნავს და უერთდება საქართველოში და მსოფლიოში ქალთა კამპანიებს. თვლის რომ ნიშვნელოვანია უფრო მეტი აქტივობა ოფისებს გარეთ იყოს, ამიტომ ხშირად აწყობს ქუჩის აქციებს და პერფომანსებს.

ციცინო უანგაროდ ატარებს ტრენინგებს, ვორქ-შოპებს და საინფორმაციო კანპანიებს ქალთა უფლებებზე, იგი დღემდე მუშაობს ძალადობის თუ სხვა ჩაგვრის გამოცდილების მქონე ქალებთან და ზრუნავს მათ გაძლიერებაზე. ციცინო ფიქრობს, რომ საკუთარი სხეულის შეცნობით და მართვით იწყება საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა. ამიტომ ღიად საუბრობს ქალებთან ისეთ თემებზე, როგორიცაა ქალის სხეული, როგორც ქალის საკუთრება, საკუთარ თავზე ზრუნვა (Self-Care) და სხვა.

გასულ წელს ციცინომ განახორციელა ადვოკატირების კამპანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები ქალებისათვის და მისი მონდომების შედეგად, სოფლებში ნაგვის ურნები დაიდგა. ასევე, ზუგდიდელი ქალებისათვის გამართა ტრენინგები და ვორქშოპები ფორუმ-თეატრსა და საკუთარი თავის ზრუნვის თემებზე. ფორუმ თეატრის ჯგუფი მართავს სხვადსხვა ჩვენებას საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებლად სხვადახვა აქტიუალური თემების შესახებ. თეატრის მეთოდოლოგიით მუშაობა ქალებს ეხმარებათ მათი პირადი გამოცდილების გაზიარების და საკუთარ პრობმელებზე საუბრის პროცესში.

ნათია ხარატიშვილი

ნათია ხარატიშვილი 2010 წლიდან მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობაში.“ წლების მანძილზე ის ასრულებდა რამდენიმე პროექტის მენეჯერის თუ სათემო ოფიცრის მოვალეობებს და აქტიურად ცდილობდა ლგბტქი და ქალთა საკითხების ყოველდღიური ხილვადობის გაზრდას.

ბოლო რამდენიმე წელია ის ძირითადად ქუთაისის სათემო ოფისში აგრძელებს მუშაობას დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციაზე.

ნათიას თავდადებული შრომის შედეგია ის, რომ ქუთაისის ოფისმა მოახერა ადგილობრივი თემის შემოკრება, მათთან ფემინისტური მუშაობა. ნათიას უშუალო პასუხისმგებლობაა იმერეთში ლგბტქი+სათემო ცენტრის ფუნქციონირება, ასევე, ხელშემწყობი გარემოპირობების შექმნა თემის გაძლიერებისათვის, იმერეთის რეგიონში ოჯახში ძალადობის ფაქტების და სიძულვილით მოტივირებული დანაშულის მიმართულებით მუშაობა/რეფერირება, ადმინისტრაციული და ორგანიზაციის განვითარებისათვის საჭირო საქმიანობის წარმართვა და მრავალი სხვა.

გვანცა ხონელიძე

გვანცა ხონელიძე ფემინისტურ აქტივიზმში 2012 წლიდან ჩაერთო და დღემდე ხელს უწყობს საქართველოში მემარცხენე ფემინისტური პერსპექტივის ჩამოყალიბებას.

2016 წლიდან დღემდე ხელმძღვანელობს მემარცხენე ფემინისტურ ორგანიზაციას "ქალთა მზერა." მანვე მოამზადა ქალთა მზერის გაზეთი, რომელიც შეეხებოდა და ფარავდა ქალებისთვის ისეთ პრობლემატურ საკითხებს, როგორებიცაა: შრომის პოლიტიკა, ჯანდაცვა, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებები.

2015 წლიდან, გვანცა პერიოდულად ცდილობდა უნივერსიტეტებში შეექმნა სამკითხველო უსაფრთხო სივრცეები მხოლოდ ქალებისათვის. ახალგაზრდა გოგონების ეკონომიკურ გაძლიერებაზე ზრუნვა მისთვის მთავარი პრიორიტეტია. გვანცა აქტიურად იკვლევს gender wage gap-ის (სქესის ნიშნით სახელფასო სხვაობის) საკითხებს ქართულ კონტექსტში.

გვანცა მიიჩნევს, რომ კაპიტალისტური პატრიარქატი არის ქალების ჩაგვრის ძირეული ინსტრუმენტი და სწორედ ამიტომ, დღევანდელ ფემინიზმში მნიშვნელოვანია ქალების გაძლიერება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებში.